უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 90

2018 წ. „21“ 11

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ს/კ: 204429341) 6 წლით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1 500-ით.
2. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №25 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	**პროგრამის დასახელება**	**სწავლების ენა**	**მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)**	ECTS	**ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**	**შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი**
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი (02)	240	აკრედიტირებული	№N201, 2013 წლის 10 დეკემბერი
2	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109)	120	აკრედიტირებული	N717, 2012 წლის 27 ნოემბერი
3	ადგილობრივი თვითმმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109)	120	აკრედიტირებული	N35, 2018 წლის 21 თებერვალი
4	საჯარო პოლიტიკა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი (1109)	120	აკრედიტირებული	N718, 2012 წლის 27 ნოემბერი
5	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (02)	120	აკრედიტირებული	N201, 2013 წლის 10 დეკემბერი
6	გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა	ქართული	გარემოს დაცვის მაგისტრი (110203)	120	აკრედიტირებული	N36, 2016 წლის 28 ივნისი
7	აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება	ქართული	ხელოვნების ბაკალავრი აუდიო ვიზუალურ ხელოვნებაში ან ხელოვნების ბაკალავრი	240	აკრედიტირებული	N202, 2013 წლის 10 დეკემბერი

			მედიახელოვნებაში (0801, 0802)			
8	ციფრული მედია და კომუნიკაცია	ქართული	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის ბაკალავრი (0703)	240	აკრედიტირებული	N38, 2018 წლის 2 მარტი
9	საზოგადოებრივი ურთიერთობები	ქართული	საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრი (070302)	120	აკრედიტირებული	N719, 2012 წლის 27 ნოემბერი
10	მედია ინჟინერია	ქართული	ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგისტრი (040101)	120	აკრედიტირებული	N86, 2014 წლის 24 აპრილი
11	მულტიმედია ჟურნალისტიკა და მედია მენეჯმენტი	ინგლისური	მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკის მაგისტრი (0703)	120	აკრედიტირებული	N715, 2012 წლის 27 ნოემბერი
12	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი (06)	240	აკრედიტირებული	N34, 2018 წლის 21 თებერვალი
13	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი (0705)	240	აკრედიტირებული	N19, 2018 წლის 26 იანვარი
14	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი (0705)	120	აკრედიტირებული	N719, 2012 წლის 27 ნოემბერი
15	საერთაშორისო სამართალი	ინგლისური	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი (0602)	120	აკრედიტირებული	N716, 2012 წლის 27 ნოემბერი
16	სოციალური მეცნიერებები	ქართული	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი (07)	240	აკრედიტირებული	N713, 2012 წლის 27 ნოემბერი
17	პოლიტიკური მეცნიერებები	ქართული	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი (0702)	240	აკრედიტირებული	N18, 2018 წლის 26 იანვარი
18	სოციოლოგია	ქართული	სოციოლოგიის ბაკალავრი (0706)	240	აკრედიტირებული	N32, 2018 წლის 16 თებერვალი
19	ეკონომიკა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი (0701)	240	აკრედიტირებული	N30, 2017 წლის 23 ივნისი
20	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი (0707)	240	აკრედიტირებული	N03, 2018 წლის 10 იანვარი
21	გამოყენებითი ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის მაგისტრი (0707)	120	აკრედიტირებული	N59, 2014 წლის 25 მარტი
22	სოციალური მეცნიერებები	ქართული	სოციალური მეცნიერებების დოქტორი (07)	180	აკრედიტირებული	N752, 2012 წლის 11 დეკემბერი